ლადო პაპავა: ზურაბ არსოშვილის „თელასში“ დანიშვნამ დაადასტურა, რომ სახეზეა აშკარა გარიგება „ნაციონალურ მოძრაობასა“ და კრემლს შორის!

გაზეთი “ასავალ-დასავალი” – 6-12 აგვისტო, № 32, 2012

„თელასის“ კომერციული დირექტორის პოსტზე პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულისა და ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის ყოფილი დირექტორის ზურაბ არსოშვილის დანიშვნას თანამშრომელთა მასობრივი გათავისუფლება მოჰყვა. არსოშვილმა იქ გათავისუფლებული თანამშრომლების ნაცვლად „ნაციონალების“ გუნდი მიიყვანა. როგორც ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო პაპავა აცხადებს, ზურაბ არსოშვილის „თელასში“ დანიშვნამ კიდევ ერთხელ ახადა ფარდა რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლების კავშირებზე აქამდე არსებულ ყველა მითქმა-მოთქმას.

– ბატონო ლადო, როგორ შეაფასებთ, „თელასის“ კომერციული დირექტორის პოსტზე ზურაბ არსოშვილის დანიშვნას?

–ბუნებრივია, იბადება კითხვა, რა პრინციპით შეარჩია „ინტერ-რაომ“ „თელასში“ ეს კადრი? როგორც გამოცდილი სპეციალისტი?კარგი ენერგეტიკოსი, ეკონომისტი თუ გამორჩეული მენეჯერი? ბატონი არსოშვილი არც ერთ ამ სფეროში ნადვილად ვერ ჩაითვლება გამოჩენილ სპეციალისტად. აბსოლუტურად გაუგებარია, რა უნდა მსხვილ ენერგეტიკულ ობიექტში მმართველი პარტიის ამ ცნობილ და აგრესიულ სახეს. „ინტერ რაო“ რომ კრემლისგან თავისუფალი ბიზნეს-სუბიექტი არ არის, ყველამ იცის. ამას აქვს ძალიან მარტივი ახსნა, სააკაშვილის და მისი გუნდის ანტირუსული რიტორიკა ყალბია, სინამდვილეში კი სააააკაშვილის მთავრობას პუტინის მთავრობასთან საკმაოდ დიდი სიამ-ტკბილობა აქვს.

– ჩვენი ქვეყნისთვის კარგია თუ ცუდი ის, რომ საქართველოს ხელისუფლებას რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობები აქვს?

–ცუდი არის ტყუილი. სააკაშვილი და მისი გუნდი ამბობენ, რომ ისინი რუსეთთან დაპირისპირებული არიან. არადა, ნუ დაგვავიწყდება, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სააკაშვილმა და ჟვანიამ გახსნეს კარები და შემოუშვეს

დიდი რაოდენობით რუსული კაპიტალი. ამ მიზნით ჩამოიყვანეს რუსეთიდან საქართველოში ბენდუქიძე, რომელსაც დაეკისრა ფუნქცია, ყოფილიყო ხიდი რუსულ ბიზნესსა და საქართველოს მთავრობას შორის. მისი ხელშეწყობით საქართველოში შემოვიდნენ რუსული კომპანიები, ზოგი – ღიად, ზოგი ოფშორულ ზონებშია დარეგისტრირებული და – მალულად.

სწორედ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ჩაიგდო ხელში რუსეთმა ქართული ოქროსა და სპილენძის მოპოვება-გადამუშავება, მოახდინა „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ნაციონალიზაცია და ეს ბანკი დღეს „ვი-თი-ბი ბანკის“ სახელითაა ცნობილი. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ აპირებდა საქართველოს მთავრობა მაგისტრალური გაზსადენის მიყიდვას რუსეთისთვის და რომ არა აშშ-ს მთავრობის ჩარევა, ამ გაზსადენს დავკარგავდით. მადლობა უნდა ვუთხრათ ამერიკის ადმინისტრაციას იმის გამო, რომ მაშინ მან ქართველი ხალხი საკუთარი ბოროტი მთავრობისაგან დაიცვა. გახსოვთ, რა მოხდა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, როდესაც რუსებს გადაეცა ენგურჰესი და სააკაშვილმა განაცხადა, მივესალმები რუსულ ინვესტიციებსო. 2011 წლის მაისში „ინტერ-რაოს“ მიეყიდა ორი ჰესი და სამ ჰესზე მიეცა ლიცენზია. ამ გაზაფხულზე, პარლამენტში გამოსვლისას, შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა თქვა, “ფულს სუნი არ სდის” და ამიტომ რუსული ფულის შემოსვლას მივესალმებიო. ამ განცხადებიდან ორ თვეში ის პრემიერ-მინისტრი გახდა.

ხელისუფლების აგრესიული რიტორიკის ფონზე საქართველოში რუსული კაპიტალის შემოსვლას შეიძლება ერთადერთი პოზიტიური ახსნა ჰქონდეს. კერძოდ ის, რომ თუ საქართველოში რუსული კაპიტალი იქნება, შეიძლება ნაკლები იყოს რუსეთისგან საქართველოს დაბომბვის საფრთხე, თუმცა, ასე მარტივადაც არც ეს საკითხი დგას. საქმე იმაში გახლავთ, რომ რუსული კაპიტალისთვის საქართველო, მისი მცირე ზომებიდან გამომდინარე სულაც არ არის დიდი ეკონომიკური მოგების მომტანი. „რაო-ეს“-ის მოგება საქართველოში ბევრად ნაკლებია იმ დანაკარგებზე, რომელიც მას რუსეთში თავის ქსელებში აქვს. ხომ წარმოგიდგენიათ, რაოდენ უმნიშვნელოა ქართული ენერგეტიკული სისტემა რუსული ენერგეტიკული გიგანტისთვის? ეს რუსეთისთვის, უბრალოდ, პოლიტიკური ინსტრუმენტია. ასე რომ, თუ რუსეთს საქართველოს დაბომბვა დასჭირდება, დაბომბავს კიდეც და ეს მისთვის არ იქნება დიდი ზარალი.

– თუ რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლებას ასეთი შეხმატკბილებული ურთიერთობა აქვს, რატომ უნდა დაბომბოს რუსეთმა საქართველო?

– მოსკოვის მხრიდან ყველაფერი კეთდება სააკაშვილისა და მისი მთავრობის მხარდასაჭერად, საომარი მოქმედებებიც შეიძლება დაიწყოს სწორედ ამ მიზნით, თუ კი ეს სააკაშვილს დასჭირდება. სამხედრო წვრთნები, რომლიც დაგეგმილია შემოდგომაზე ჩრდილოეთ კავკასიაში, დასტურია იმისა, რომ რუსეთი ირიბად მხარს უჭერს სააკაშვილს. ამით სააკაშვილს ეძლევა საფუძველი ხმამაღალი და შემაშფოთებელი განცხადებებისთვის, ხომ ხედავთ, რუსეთი ატარებს წვრთნებს და დიდი ალბათობით დაიწყება ომიო და ამით ნაციონალისტურ ტალღაზე გაზარდოს არჩევნებში მხარდამჭერები. ღმერთმა დაიფაროს, თუ გარკვეული პროვოკაცია მართლაც მოხდა, (რაც სულაც არ არის გამორიცხული, რადგან ეს „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებშია,) ამას ივანიშვილს დააბრალებენ.

– როგორ ფიქრობთ, სააკაშვილს ახლა აწყობს პროვოკაციები და საომარი დაპირისპირება რუსეთთან?

– სწორედ ამას ვამბობდი. თუ სააკაშვილი ნახავს, რომ საქმე ცუდად არის, მას აწყობს პროვოკაცია. მოსკოვმა სააკაშვილის მხარდასაჭერად შეიძლება შეზღუდული ფორმატის სამხედრო მოქმედებები განახორციელოს, რასაც ხელისუფლება ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“ დააბრალებს. სინამდვილეში ამით მოსკოვი სააკაშვილს დაეხმარება ხელისუფლების შენარჩუნებაში.

– თქვენ გაიხსენეთ მერაბიშვილის სიტყვები, რომ ფულს სუნი არა აქვს. ამავე დროს ხელისუფლება ივანიშვილის კომპრომატად ასახელებს იმას, რომ მას რუსული წარმომავლობის ფული აქვს... ხელისუფლებამ ლოგიკა დაკარგა?

– ჯერ ერთი, წლების მანძილზე ივანიშვილის ფულს მერაბიშვილით დაწყებული ყველანი შესანიშნავად იღებდნენ და იყენებდნენ. მაშინ ეს არ იყო პრობლემა, პრობლემა გახდა მას შემდეგ, რაც ივანიშვილი ოპოზიციაში გადავიდა. თურმე, ეს ის რუსული ფულია, რითაც ხალხი უნდა მოისყიდონ. ამ დროს სააკაშვილის რეჟიმი თავიდან ბოლომდე ეფუძნება ხალხის მოსყიდვას, საქართველოში არის „ნაციონალების“ ერთგული მცირე ჯგუფი და ეს ერთგულება არის ნაყიდი. სააკაშვილი და მისი გუნდი ამისთვის ხარჯავენ ჩვენს ფულს, ბიუჯეტის ფულს.

–ხელისუფლება ივანიშვილის მიერ ბიუჯეტში ჯარიმის სახით ჩარიცხულ ფულს პრინციპულად არ აძლევ კახეთში სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას.

– ჯარიმა ახსენეთ და მინდა ხაზგასმით აღვნიშნო – ერთადერთი ფორმა, რომლითაც ივანიშვილს შეეძლო ხალხს დახმარებოდა და მოსყიდვად არ ჩაეთვალათ, ეს იყო ჯარიმის გადახდა.

მთავარი ის არის, რომ ბიუჯეტში გაჩნდა ფული. ბიუჯეტში ფული შედის ბევრი გზით, ეს არის გადასახადები, ჯარიმები, სხვა შემოსულობები, ყველაფერი ერთ ქვაბში იყრება და არ ჩანს, რომელ ფულს ხარჯავს მთავრობა. მთავრობამ შეიძლება თქვას, მე ივანიშვილის ფულს არ ვაძლევ სტიქიით დაზარალებულ ხალხსო, მაგრამ სინამდვილეში სწორედ ივანიშვილი ეხმარება ამ ხალხს. შეიძლება მთავრობა ივანიშვილის ჩარიცხულ ფულს არ ხარჯავს კახეთში, მაგრამ ივანიშვილს რომ ეს ფული არ ჩაერიცხა, სხვა სფეროებში შეიქმნებოდა პრობლემა, სხვა ხარჯები აღარ დაფინანსდებოდა. ამიტომ ვიმეორებ, სინამდვილეში სწორედ ივანიშვილი ეხმარება სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას, თუმცა, მთავრობის მიერ დადგენილი დახმარების ზომა, არ არის ზარალის ადეკვატური.

– ბატონო ლადო, როგორ შეაფასებთ „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ დღევანდელ პოზიციებს?

– დღევანდელი მდგომარეობით ივანიშვილის გუნდი აშკარად სჯაბნის სააკაშვილის გუნდს. ამის დასტურია ის, რომ მერაბიშვილმა პრაქტიკულად გადაიწერა ივანიშვილის დაპირებები. ხოლო ის, რაც არ გადაუწერია, არის ძველი და უხარისხო “სიმღერა”. მაგალითად, ასდოლარიანი საპენსიო პაკეტი, ან ათასლარიანი ვაუჩერი. ეს ვაუჩერი ნიშნავს იმას, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ქვეყნის განვითარების ხედვა არა აქვს. როგორ შეიძლება მთელი 4 წელი არიგებდე და კიდევ მომავალი 4 წლისთვის ხალხს აძლევდე ვაუჩერს? ეს ნიშნავს, რომ არც აქამდე ჰქონიათ სოციალური, ენეგრეტიკული და სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა და არც მომავალი 4 წელი ექნებათ.

–ელით თუ არა, რომ რუსეთი აქტიურად ჩაერთვება სააარჩევნო პროცესებში?

– რუსეთი უკვე აკეთებს ყველაფერს იმისთვის, რომ სააკაშვილს მხარი დაუჭიროს. როგორც გითხარით, ეს წვრთნები და სამხედრო მობილიზაცია სწორედ ამ მიზანს ემსახურება. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ სააკაშვილს უფლება მისცა და „თელასში“ საკუთარი კადრი დაანიშნინა. ზურაბ

არსოშვილის „თელასში“ დანიშვნამ ფარდა ახადა ყველა მითქმა-მოთქმას. სახეზეა აშკარა გარიგება „ნაციონალურ მოძრაობასა“ და კრემლს შორის.

ესაუბრა

თეა ასათიანი